


სანდრო პაპა



ბიძინა

თარი ინტერვიუ, ერთი ამბიკანი

თბილისი

2020

# რედაქტორი

## კობა ბედლიძე

ადამიანს საფიქრ-სადარდელს რა  
გამოუღევს?

რაც უფრო მძიმეა განსახილველი  
საკითხი, მით მეტია მისი იუმორით  
წარმოჩენის სიკეთე. ამიტომ ავტორის  
ნაშრომები იუმორით გაზავებული. ამ  
თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, არც ეს  
ნაწარმოებია გამოთქმისი.

კობა ბედლიძე

წიგნი აეწყო და დაკაბადონდა





## 27/XI-2019 წ.

**ბიძინა**<sup>1</sup> – ამ ერთი წლის წინ<sup>2</sup> მე ხალხს შევპირდი,  
თუ დამიჯერეს, თუ მენდობიან,  
ყველა შეცდომას გამოვასწორებ და შევეცდები არ იყოს გვიან,  
ახლა შევხედო რასაც შევპირდი, სიტყვის გატეხა არა მჩვევია.  
სალომეს<sup>3</sup> მივეც პრეზიდენტობა, დღეს მისი სიბრძნე გასარჩევია,  
მინისტრებიდან ბევრი შევცვალე,  
თუმც ზოგის წასვლა სულ არ მინდოდა,  
მასების სწრაფვა გავითავისე, სხვანაირად არ გამოდიოდა,  
უფრო დამყოლი, ვიდრე ბახტაძე<sup>4</sup>, არავინ იყო, მაინც გავწირე,  
გზა დავულოცე, მადლობა ვუთხარ, საქვეყნოდ ნახა,  
არ დავამცირე.  
ობიექტურად თუ განვიხილავ, ჩემგან პანდური დაიმსახურა,  
არ დამეკითხა, მომიტიჩგეებს, პირობა მისცა და გაახურა.  
ივნისის ოცში, ჩემი სახელით უთხრა,  
რომ ძალას არ მივმართავდი,

---

1. ბიძინა ივანიშვილი პარტია „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და ქვეყნის რეალური გამოუცხადებელი მეთე.

2. 2018წ. ნოემბრის ბოლოს სახალხო მოინანია და პირობა დადო, რომ ყველა დანაპირებს შეასრულებდა

3. სალომე ზურაბიშვილი ფაქტიურად ბიძინამ აირჩია პრეზიდენტად.

4. მამუკა ბახტაძე დროებითი მორიგი პრემიერ მინისტრი



ვფიქრობ, წამოსცდა, როცა განსაჯა,  
 რომ დანებების ნებას დავრთავდი.  
 ჩემი ბუნება ვერ გაუგია, დრო გაქვს? მეტოქე უნდა მოგუდო, –  
 ჩამოიცილო, წინსვლა განაგრძო,  
 სავალი გზა რომ არ გაიმრუდო.  
 გახარიამ<sup>1</sup>-კი, მისგან სხვაობით, გაითავისა ჩემი ბუნება.  
 არა მჩვევია ცუდად ყბედობა, უკან დახევა, შემობრუნება.  
 „ნაცებმა“<sup>2</sup> იგრძნეს რისხვის შედეგი,  
 მას „გავრილოვის“ ლამე უწოდეს,  
 სისხლი ვადინეთ, მივფანტ-მოვფანტეთ,  
 ერთუროს ხელი ვერ გამოუწოდეს.  
 ეს რომ არ გვექნა, მემამბოხენი,  
 პარლამენტს როცა დაივალებდნენ,  
 სამინისტროებს მიადგებოდნენ,  
 მთავრობის წევრებს ზურგზე დადებდნენ.  
 დროული იყო მათი დარბევა და გახარიამ მით გამახარა,  
 პრემიერობა დაიმსახურა, რეპრესიები არ დაიზარა.  
 პარტიები რომ წამოვარჩოქე, ახალგაზრდებმა წამოყვეს თავი,  
 მათაც „ნაცები“ ვუწოდე მიტომ  
 და როგორ დავდო იმათთან ზავი?  
 ვიცი „ნაცები“ რომ არ არიან,  
 სხვაფრივ როგორღა ვაერთიანო?  
 მოსახლეობა გადმოვიბირო, იმათი საქმე დავაზიანო?  
 ასეთი ხერხი თავად მასწავლეს,  
 პარტიებმა ხომ დათქვეს პირობა,  
 ერთიან ძალით მლანძღონ საქვეყნოდ,  
 გამოაჩინონ ამით გმირობა.  
 ორას ორმოცი არი პარტია,  
 იქ ვინ გაარჩევს მტყუანს და მართალს?

1. გიორგი გახარია-ახალი პრემიერი

2. „ნაცები“-პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“



ყველა „ნაცების“ სატელიტია, ვიტყვი,  
დავუდგენ ასეთ სამართალს.  
ამავ დროს საქმე ისე დავსახო, თავს ვიცავ, იქით არ ვედავები.  
მართალს მდევნიან, ცილსა მნამებენ,  
დამნებდნენ და მეც დავეზავები.

### ტელეარხ „იმედზე“ ინყება ბიძინას ინტერვიუ ნიკა ლალიაშვილთან

**ნიკა** – პოლიტიკური ატმოსფერო და პოლიტიკური სიტუაცია  
გაურკვევლობის იერს ატარებს.

სად „ოცნებაა“ და სად – „ნაცია.“  
ადრე ვიცოდით: ეს მემარჯვენე, ის მემარცხენე პარტიებია.  
დღეს ვერ მიხვდები, ვინ ვისა ჰყვარობს,

ენჯოებია თუ ქაჯებია,  
ანალიზია გასაკეთები და თქვენზე უკეთ ვინ მოახერხებს? –  
დაახარისხებს კლასის მიხედვით,  
ჩამოურიგებს სკამებს და მერხებს,  
დავინყოთ ამით და მივაყოლოთ პარლამენტის წინ აურ-ზაური,  
რამე იდეას ემსახურება, თუ ხელოვნური არი ხმაური?

**ბიძინა** – რა კარგადა თქვი: ხელოვნურია  
ირგვლივ შექმნილი გარემოება,  
როგორ აგორდა სიცრუის ტალღა,  
ტყუილი ტყუილს როგორ მოება,  
განა რა მოხდა ივნისის ოცში, რა გახდა ახალ შარის მიზეზი? –  
მშვიდობიანი გვქონდა ცხოვრება,  
რატომ შეცვალეს „ნაცებმა“ გეზი?

ოკუპანტები უძახეს რუსებს,  
მე მათ მფარველად გამომიყვანეს,  
პარლამენტის წინ დადგეს კარვები,  
გზის გადაკეტვა არ დაახანეს,



არადა, იცი, რა შუაში ვარ, ვინ წამოიწყო აგვისტოს ომი!<sup>1</sup>  
 ხომ აღიარა პუტინმა<sup>2</sup> თავად,  
 ორი წლით ადრე ჩართო წამზომი,  
 პარტნიორები ხომ გვაფრთხილებდნენ,  
 არ ავყოლოდით პროვოკაციას.  
 ვერ ვაჯობებდით რიცხვით და ძალით იმათ ტანკებს  
 და ავიაციას.  
 ტერიტორიის ოცი პროცენტი იმათ დაკარგეს, მათი ბრალია,  
 პასუხს მე მთხოვენ, არა დაობენ, ასე როგორი სამართალია?!  
 მტყუანს და მართალს როგორ გაარჩევ,  
 არეულია ცუდი და კარგი,  
 მემარჯვენენი, მემარცხენენი, როგორც მიხვდები, ისე ივარგი.  
 ოცი პარტია და ლიდერები,  
 ადრე რომ ერთუროს ლანძღავდნენ, მტრობდნენ,  
 ზოგი მეგობრად მეტყნებოდა,  
 ჩემ გარდა ტოლად არავის ცნობდნენ,  
 ახლა შეეკრულან ერთი სურვილით,  
 ჩემ გინებაში დაიდონ წვლილი,  
 სათითაოდ ვცნობ მათ ჩანაფიქრებს,  
 რატომ სურთ, მე ერთს დამწამონ ცილი?  
 ალბათ, ფიქრობენ, „ქართულ ოცნებას“  
 დაამარცხებენ ასეთი გზებით,  
 მერე ერთმანეთს დაერევიან, გაშმაგებულნი ათმაგი გზებით.  
 ამ დროს არავინ დაუფიქრდება, მემარჯვენეა თუ მემარცხენე –  
 ხელისუფლებას თუ ჩაიგდებენ,  
 მერე გინდ ლოცე, გინდ შეაჩვენე –  
 ნახე, მთავარი ლოზუნგი ჰქონდათ ჯერ გახარიას გადაყენება,

1. 2008წ. აგვისტოს ომის გარემოებანი პარტიათა და პოლიტიკოსთა ურთიერთბრალდების საგანი არი და იქნება.

2. პუტინი ვლადიმერ ვლადიმერის-ძე-რუსეთის პრეზიდენტი



ნომერ პირველ „მტერს“ მოიცელებდნენ,  
 რომ ავყოლოდი, დამერთო ნება,  
 ვერ მიაღწიეს როდესაც მიზანს,  
 არჩევნების წესს დაადგეს თვალი:  
 პროპორციული არჩევნებით – გახდა ერთობის ამოსავალი,  
 ახალგაზრდობა გააქტიურდა, ჩვენი შვილები, ხვალის იმედი,  
 ვიფიქრე, ოლონდ ამათ იხარონ – დავუთმე, მივეც გადასახედი,  
 პირობა დავდე, ოლონდ დამშვიდდით,  
 ქუჩის აქციებს ნუ გადაყვებით,  
 არჩევნების წესს ისეთს გაჩუქებთ,  
 როგორსაც ნატრობთ, მიტინგზე ყვებით.  
 დროებით ჩაცხრა დიდი ხმაური,  
 მაგრამ ხმაურმა ბევრი მასწავლა –  
 ჯერ ერთი, „ნაცებს“ ასე უნდოდათ –  
 ეკლიანი გზის უეკლოდ გავლა  
 და დამებადა ბრწყინვალე აზრი:  
 ყველას, ვინც ყვირის, „ნაცი“ ვუწოდო,  
 ხალხს შევაზარო მათი ხსენება, საშველად ხელი არ გავუწოდო,  
 მერე მეორე, მათი საყვირი, ნიკა მელია ჩამოვიშორო,  
 ისე მოქნილად, მომიტინგენი არ ავაყვირო, არ ავამძირო,  
 და მაშინ მოხდა, მარიამ ჯაშმა<sup>1</sup>, მიგანა, მხარი არ დამიჭირა.  
 მის აზრს ვაფასებ, შევფიქრიანდი, ეშმაკობაში გამომიჭირა?  
 მადლობა ღმერთს, რომ არ ახმაურდა,  
 მელიას მეც არ გამოვეკიდე,  
 სანაცვლოდ სხვები, ვინც ორჭოფობდა,  
 ჩამოვიცილე, არ მოვერიდე  
 და ჩავიფიქრე: შემოვლითი გზით,  
 რასაც შევპირდი უკან წამელო,  
 ჩემი სახელი გადამერჩინა,  
 სხვა ზოგიერთი მსხვერპლად გამელო.

1. ჯაში მარიამი – პარლამენტის დეპუტატი, კომიტეტის თავმჯდომარე.



დიტო ხუნდაძეს ეს ჩემი აზრი გავუზიარე, დამყვა ნებასა,  
 უარი ეთქვა, იზარალებდა, გადევნებოდა სადმე ვნებასა.  
 საავადმყოფო მუქთად წაიღო

და ირგვლივ დიდი ტერიტორია,  
 წაერთმეოდა, გაბაზრდებოდა,

ბევრის დაკარგვა კი როგორია?  
 შევთანხმდით, მალე აიყოლია მაჟორიტარი დეპუტატები.  
 თოთხმეტ ნოემბერს ვითომ აჯანყდნენ,  
 არ დაუჭირეს ჩემ ნათქვამს ხმები,  
 კენჭისყრის შედეგს ბევრი განუდგა,

ბევრი მერყევი ჩამოვიცილე,<sup>1</sup>  
 მე ჩემი სახე შევინარჩუნე, პარტიის კრახი რომ ავიცილე.

**ნიკა** – ნოემბრის ჯანყმა მკვეთრად შეცვალა

პოლიტიკური სიტუაცია,  
 იდეისაგან ჩამოიცალა ყველა, ვინც გებრძვის ვითომ „ნაცია.“  
 პრაგმატიზმისგან დაცლილ პარტიებს,  
 რადიკალიზმის დასდევს იერი,  
 ეს თქვენ ხელს გინყობთ მათ კრიტიკაში,  
 დრო გაქვთ, რომ უფრო გახდეთ ძლიერი.

**ბიძინა** – მემარჯვენენი, მემარცხენენი –

მათი ერთობა განა იქნება?  
 და არც იციან, თავად რა უნდათ,  
 სიცრუე სიბრძნედ გარდაიქმნება?  
 გაკოტრებული აქვთ პოლიტიკა,  
 ქვეყნის სიყვარულს ველარა გრძნობენ.  
 მე, მათზე მზრუნველს მტრადა მსახავენ,  
 თავის ტოლადაც კი არა მცნობენ:  
 რაა სამშობლო? რა სახელმწიფო? იციან?

თუ ვერ გაურკვევიათ,

1. მხედველობაშია უმრავლესობას ჩამოცილებული 12 დეპუტატი.



პოლიტიკოსებს თავს უწოდებენ,  
 მოყვარულებიც კი არა ჰქვიათ,  
 კაცს თუ არ უყვარს ქვეყნის წარსული,  
 წინაპრებს არ ცნობს და ემიჯნება.  
 ტრადიციები არაფრად უღირს, ის პატრიოტი როგორ იქნება?  
 განხილვას ითხოვს ბევრი საკითხი, მე ერთი უნდა დავასახელო,  
 ვინაც მოისმენს, კარგად დაფიქრდეს,  
 რატომ და რაა აქ სასახელო:  
 პროპორციული არჩევნები თუ ყველაზე მეტად მისაღებია,  
 ცხრა წელი მართეს ჩვენი ქვეყანა, რად არ დანერგეს?  
 გასაგებია?  
 მეორე მხრივ კი ცილსა მწამებენ,  
 თითქოს მე „ნაცებს“ ვაძლიერებდე,  
 პარტიულ ხარჯებს მე ვუფარავდე,  
 მათი სახელით ხალხს ვაშინებდე.  
 ეტყობა, სულ არ უფიქრდებიან, რა ხალხი მიდის პოლიტიკაში,  
 ვინც რამე სცადა და არ ივარგა, ფუჭი ლაყბობა უჯდება ჭკვაში,  
 პროფესიონალს ერთ-ორს თუ ნახავ,  
 ხელმოცარულნი ავსებენ რიგებს.  
 მათგან პარტია გაძლიერდება?  
 უცოდინარი ბრძენს დაარიგებს?  
 უმუშევრობა ტანჯავს ქვეყანას, იქნება, ესეც ჩემი ბრალია?  
 ძარცვებს, გაყიდეს ვინც რა შეიძლო, ასე მოიმკეს მოსავალი.  
 ახლა მომადგნენ, მიკიჟინებენ, მე უნდა მივცე ყველას საშველი,  
 ქარხნები დავდგა, ტექნიკა შევქმნა, დავუმუშავო სახნავი ველი,  
 ერთი რას შევძლებ, თუ არ ივარგეს, მხარი არ მომცეს,  
 არ გაისარჯნენ?  
 უქნარობით და უცოდინრობით რაც დაემართათ,  
 ხომ დაისაჯნენ?



**ნიკა** – ამერიკული ინსტიტუტები

პერიოდულად კვლევებს აწყობენ,  
იმის დადგენას ცდილობენ მიწყვი, ვინ და რადა ღირს,  
ვის რადა ცნობენ.

ახლა მისულან ასეთ დასკვნამდე:

დავით ბაქრაძემ ყველას აჯობა,  
ჩამორჩებიან დანარჩენები, არ შეუძლიათ მათ გამარჯობა.  
მე არ მეგონა, ასე ამბობენ, ბიძინა ბევრ სხვას დაუვარდება,  
ფულით კი ჭარბობს, კაი კაცობით,  
ბევრი იძახის ვერ უტოლდება.

**ბიძინა** – ნაციონალებს ნუ შემადარებთ,

მე მეტი შევძელ, ვიდრე მათ ერთად,  
მაგრამ ყველაფერს ვერ მოვერევი,  
თუნდაც მივაჩნდე ზოგიერთს ღმერთად.

თავად ცხოვრება უკეთესია, ვიდრე ეს მათი მართვისას იყო,  
თავისუფლება მივეცი მასებს, ორი ეპოქა ამით გაიყო.  
რაც შეეხება ხსენებულ კვლევებს, ვინ რასა სწავლობს,  
ვინ რას ენდობა,

ტენდეციური თუ აქვთ მიდგომა, განა, იქნება მათი შენდობა?  
რასაც ამბობენ სათუოდ მიჩანს, მცდარი აზრია, მე არ მეხება.

მე ბევრ პრობლემას დავჭიდეზივარ

და უფრო მეტთან მქონდა შეხება.

ამას რომ ვამბობ, ეს არა ნიშნავს სტრატეგიული პარტნიორები  
ამავ საზომით რომ შევაფასოთ

და გავიმრუდოთ სავალი გზები

ამერიკაში ორივე პარტია ჩვენი მხურვალე მხარდამჭერია,

თუ მათი ფულით ჩვენთან იკვლევენ,

მკვლევარებს გეზი თუ აერია,

ეს არა ნიშნავს, რომ ბრალი დავდოთ კონგრესს,

პრეზიდენტს, გნებავს პარტიებს,



თუ ვერ მოვზომეთ ვის რა ეკუთვნის,  
 ასეთ შეცდომებს ვინ გვაპატიებს?  
 ჩვენთან იკვლევენ, ეს იმას ნიშნავს,  
 ჩვენ ვაძლევთ მოსულთ ინფორმაციას,  
 „ნაცები“ კვლავაც მომძლავრებულან,  
 ჩვენ გვიტარებენ ამ მტრულ აქციას.  
 დევაღვირება ხდება სიმართლის,  
 მე ასეთ კვლევებს როგორ ვენდობი?  
 გააგძლებენ ცილისნამებას – აღარ ვიქნები მათი შენმდობი.

**ნიკა** – როგორც დგინდება მოსახლეობის  
 უმეტესობაც მათ არ ენდობა,  
 გამოსავალიც ვერ უპოვიათ,  
 რად გააგრძელონ მათი დანდობა?

**ბიძინა** – გამოსავალი ასეთი არი:  
 მე მივწერ წერილს ამერიკელებს –  
 პრეზიდენტს, სენატს და მკაცრად მოვთხოვ,  
 დაუმოკლებდნენ ასეთებს ხელებს.  
 სხვაფრივ ეს რას ჰგავს? – ფულსა ხარჯავენ,  
 ეს ფული ბოლოს „ნაცებს“ ხმარდება,  
 სახელს გვიტეხენ, მაგრამ უმეტეს იმათი მხარე  
 ხომ ზარალდება.  
 ჩვენ იმათ საქმეს ვემსახურებით, ისინი ამდენს თუ ვერ იგებენ,  
 ჩვენნაირ ერთგულს ვისა ნახავენ,  
 თუ დავცილდებით, ხომ გაიგებენ.

**ნიკა** – ერთი წლის წინათ პირობა დადე,  
 ყველა შეცდომას გაასწორებდი.  
 ახლა რომ ვხედავ, პირიქით არი. რატომ? ცდებოდი?  
 ვერ იაზრებდი?



ბიძინა – მე ბევრი რამე მქონდა გათვლილი.

მსურდა მშვიდობა, ქვეყნის შენება,  
დემოკრატი ვარ ჩემი ბუნებით, თავისუფლების მივეცი ნება.

„ნაცებმა,“ ვატყობ, ჩემი სიკეთე სისუსტედ იგრძნეს,  
მხრები გაშალეს,

მათი ბელადი აამოქმედეს, მტრული ქმედება არ მოიშალეს.

სურთ, დააბრუნონ ძველი ცხოვრება,

თან ძალადობას ჩვენ მოგვანერენ,  
ცუდი, რაც თავად უკეთებიან,

ჩვენ ნახელავად თვლიან და მზერენ.  
კიდევ რამდენი უნდა ვუთმინოთ –

ველოდოთ, როდის დაიღლებიან?  
დიქტატორულ ცდებს შეეშვებიან, დაგვნებდებიან,  
დამშვიდდებიან.

არჩევნების წესს დაადგეს თვალი,

პროპორციულზე გადასვლა უნდათ,  
ეს მათთვის მხოლოდ არი საბაბი,

რომ იძალადონ შეკრულმა გუნდათ.  
ბევრი ვუთმინე, ვაკვირდებოდი, ძალადობაა მათი მიზანი,

ამ გზით სურთ ჩვენი ჩამოცილება, დაუკვირდი და ამოიცანი.

ნებას არ მივცემ ნაციონალებს და მათ დამქაშებს,  
მხრები გაშალონ,

სხვისი ნადავლი გაინაწილონ,

თავზე დაგავსხდნენ და გვაზარალონ.  
ხალხის სახელით მიტინგს მართავენ, იარღიყია ხალხის სახელი,  
თუ ხალხი უყვართ, ნაძარცვი მისცენ.

ვინაა მათგან ამის მნახველი?  
მათგან სხვაობით, მე არ მითქვია,

რომ ჩემ ქონებას გავუნაწილებ,  
ჩვეულ ცხოვრებას ჩამოვცილდები

და გაჭირვებას მათ ავაცილებ.



პრაგმატულად ვსჯი და ასე ვამბობ,  
 უმუშევრობა რომ შევამციროთ,  
 ქუჩაში კი არ დავდგათ კარვები,  
 იქიდან სხვების ჯიბრზე ვიყვიროთ,  
 გერმანელებს და ფრანგებს შევთხოვოთ,  
 ჩვენგან მიიღონ მუშა-კადრები.  
 სამსახურები ჩამოურიგონ შესაფერისი და საკადრები.  
 ჩვენგან წასულნი ფულს იშოვნიან,  
 აქ დარჩენილებს გამოუგზავნონ,  
 მე ჩემი ბანკით მივეხმარები, რომ არ იწვალონ და იზარალონ.  
 ხელი ხელს დაბანს და ორივე პირს,  
 არ დაუფასებ გამოგზავნას ძვირს,  
 ვინც საქმეს აწყობს, ისა მდიდრდება,  
 უმუშევარი შიმშილობს და ტირის.

**ნიკა** – „ნაციონალებს“ და იმათ ბელადს  
 დემოკრატიის შუქურად თვლიდნენ,  
 ამერიკაში და ევროპაში ციცინათელას იერით ვლიდნენ.  
 ახლა იცვლება მათი იერი, ბევრსაც ეტყობა გაურკვევლობა,  
 პროცესს თან ახლავს ბრძოლის ყიჟინა,  
 პირისპირ დგომა, გაუტანლობა

**ბიძინა** – გაშიფრულია მათი მიზანი.  
 ინვისში იცი, ჰქონდათ მცდელობა,  
 პარლამენტს მისდგნენ, სურდათ დაპყრობა,  
 გამოამჟღავნეს ქცევად მგელობა.  
 ჯანყი ჩავაქრეთ, ძალა ვუჩვენეთ,  
 მაგრამ სასტიკად არვინ დავსაჯეთ,  
 ცდებიან, მაგრამ ჩვენებურები, მოინანებენ, ასე განვსაჯეთ.  
 შენ შეადარე, მათი ბელადი შორიდან რისკენ მოუწოდებდა!..  
 არ ანალვლებდა ამათი ბედი, ამათ სწირავდა,  
 თავს არა სდებდა,



პროპორციული არჩევნებიც კი, საბაბი იყო,  
 ბოლოს გამჟღავნდა,  
 ჩვენი ქცევა კი გამოზომილი,  
 სულელთან ბრძენის ქცევასა ჰგავდა.  
 საოცარია კაცი არა ჰყავთ, რომ უთხრას ფუჭად ნუ ირჯებიან,  
 ჩვენ შეკრულ რიგებს ვერ აგვირევენ, დააშავებენ, დაისჯებიან.  
 ნოლ პროცენტს უდრის მათი შანსები,  
 ჩვენი კი – სამოცს გადააჭარბებს,  
 ვერ მიხვდებიან, იხმაურებენ, ერთგვარად მოვცხებთ უქნარებს,  
 ხარბებს.  
 მეცოდებიან, კლდეს თავს ურტყამენ,  
 ასე მცდელობით კლდეს გაანგრევენ?  
 თავს ილუპავენ, მაგრამ ამავე დროს,  
 ქვეყანას მაინც აზარალებენ.  
 ცხრა წელი ისხდნენ ხალხის პატრონად,  
 ცხრა წელი ჰქონდათ ბატონობისა,  
 რა შეასრულეს, რაც ხალხს შეპირდნენ?  
 ვნახოთ ჩვენი და ვნახოთ სხვებისა.  
 არ მიყვარს ფუჭად პირობის დათქმა, ვის რას შევპირდი,  
 ხომ შევუსრულე?  
 დაჩაგრულები ვათავისუფლე, სააკაშვილი ჩამოვუცილე.  
 ოც ივნისს ჰქონდათ დიდი ამბოხი,  
 პარლამენტს მისგნენ სურდათ ალება,  
 მომზადებულნი დავხვდით მომხდურებს, როგორ შევძელით,  
 სცადონ გაგება.  
 რომც შესულიყვნენ სხდომის დარბაზში,  
 იქვე სულ ყველას გამოვიჭერდით,  
 სულელებია, იმას ვერ გრძნობენ, აღრიცხვაზე გყავს,  
 თვეობით ვსდევდით.  
 მე ყველას ვიცნობ და ყველა ვიცი, რისთვის იბრძვიან,  
 რა აქვსთ მიზანი



ვითომ იცავდნენ ხალხის ღირსებას, დავცხე,  
 როდესაც ამოვიცანი.  
 ქვეყნის ღირსებას მე ვიცავ მხოლოდ, ვასრულებ,  
 რასაც ხალხს შეეპირდები.  
 ბატონი ვარ და მსახურთა თვალში,  
 სალაპარაკო რატომ გავხდები?  
 პროპორციული არჩევნებით, ახლა გახადეს ლანძღვის მიზეზი,  
 ხელშეკრულება ხომ არ გვექონია, არც შემიცვლია სავალი გეზი,  
 ოცდაოთხ ივნისს ისე ვუთხარი, ოღონდ დაწყნარდით,  
 იყოს მშვიდობა,  
 მაჟორიტარი, პროპორციული, არი სულ ერთი,  
 ნუ გაქვთ ცილობა.  
 თოთხმეტ ნოემბერს დეპუტატებმა  
 არ შეიტანეს წესში ცვლილება,  
 ეს მე დამბრალდა ვერ მოვახერხე, ძალების ისე განაწილება,  
 ოპოზიციას როგორც აწყობდა,  
 თავს მოგებულად წინასწარ გრძნობდა,  
 მაჟორიტარებს მკვახედ ლანძღავდა,  
 დეპუტატობის ღირსად არ ცნობდა.  
 მათი ბრალია, პროპორციულ წესს მაჟორიტარმა  
 დეპუტატებმა  
 მხარი არ მისცეს, არც მოინდომეს  
 მყვირალა ხალხთან სიტყვებით შებმა,  
 ახლა მე მომდგნენ, ლანძღვა დამიწყეს,  
 სიტყვა გვითხარი და შეასრულე,  
 საქმე, რომელიც მათ გააფუჭეს, ისე ღიად, რომ მეც შევიძულე.  
 უნდათ, რომ ჩემით გამოასწორონ, მლანძღონ,  
 თან ჰქონდეთ ჩემი იმედი,  
 მაგათ რიგებში ჭკვიანს ვერ ვხედავ,  
 შეკრებილია ათასო ყბედი.



მე მხოლოდ ერთი სანანებელი დამრჩა  
და ამას კიდევ განვიცდი:  
უმრავლესობა ბევრმა დატოვა,<sup>1</sup> მაგრამ არ ვჩივი.  
კი არ დავიცდი,  
მათ ადგილს სხვები ჩაანაცვლებენ,  
გუნდი მთლიანად მემორჩილება,  
რა უნდა ვბრძანო, არ შეასრულონ,  
ვერ მოვახერხო მათი ცვლილება?  
ზოგი ჭირი რომ მარგებელია, ნათქვამი არი და ასეც მოხდა,  
ურწმუნობმა ზურგი გვაქციეს, ვინც ჩამოგვცილდა,  
ის ჩემთვის მოკვდა.

**ნიკა** – ცხადია, გუნდი რომ დაზიანდა,  
ბევრი მოსცილდა უმრავლესობას,  
ბევრი აზრია, წინადადება,  
არ განვიხილავთ მრავალთა გზობას?  
მაგრამ ერთი კი საკითხავია: უმრავლესობა ხომ არ იშლება?  
ანალიზია გასაკეთები, ხომ არ მოხდება ძალთა ცვლილება?

**ბიძინა** – არ ვიტყვი, გუნდი არ დაზიანდა,  
ბევრმა სხვაგვარი მონახა გზები,  
„ოცნებას“ ეს ვერ წამოაჩოქებს,  
სანამ ძალა მაქვს ამას ვეცდები.  
თავიდან ჩემი იყო შეცდომა,  
„პროპორციულზე“ გადასვლის ნდომა,  
ახალგაზრდობის სურვილად ვცანი  
და არ მივიღე საჭირო ზომა.  
ახლა განვსაჯოთ, ჩემი თანხმობა  
ცალმხრივი იყო და პიროვნული.

1 146ოქტომბრის შემდეგ უმრავლესობიდან გავიდნენ კონსერვატორიები, თ. ჩუგიშვილი, მ. ჯაში, დ. ცქიტიშვილი და სხვ. (სულ 14 დეპუტატი)



ხელშეკრულება კი არ დამიდევს.

„ნაცების“ წვლილი აქ იყო ნული,  
ბუნებრივია, ეს წესადა მაქვს:

ხელშეკრულება უნდა შესრულდეს,  
ცალმხრივად ნათქვამს ძალა არა აქვს,  
მეორე მხარეს რაც უნდა სურდეს.

შენ დაუკვირდი,

დასაწყისიდან რამდენ რამეზე მქონდა პირობა,  
ამასაც ვიზამ, იმასაც შევძლებ, გამოვიჩინო უნდა გმირობა.  
დაპირებები ხომ არ შესრულდა, რადგან ეს იყო დაპირებები  
და არა მტკიცე ხელშეკრულება, ასე გაიყო მომავლის გზები.  
ახლაც ასეა. პირობა მივეც. არ დამიდია ხელშეკრულება,  
სიტყვა სიტყვაა, ბევრ რამეს იტყვი, დრო გადის,  
დროსთან სიტყვა იცვლება.

„პროპორციულზე“ სიტყვა მივეცი,

დეპუტატებმა არ მომცეს მხარი,  
რადგან აღმოჩნდა „ნაცებს“ აწყობდათ, ძალთა ფარდობა,  
იყო სხვაგვარი.

მე რომ მლანძღავენ,

თავად რამდენი დაპირება აქვთ აღსრულებული?  
მათ ასე მოსდით: ჩემი შენ გითხარ  
და მწარე სიტყვით მოგიკალ გული.

**ნიკა** – პოლიტიკურ სპექტრს არ აქვს იდეა,

პრაგმატიკული არ აქვს გათვლები,  
ლოზუნგები კი რადიკალური. მოისმენ, გულით იტყვი:  
საწყლები.

აღარ არიან მემარჯვენენი, მემარცხენენიც არსადა ჩანან,  
რისთვის იბრძვიან, არც ის იციან, დაბნეულები უჭკუოს გვანან.



ბიძინა – შენც შემაჩნიე?

გაკოტრებული პარტიებია ერთად შეყრილი,  
მე მსხვილებს ვამბობ და ამათ გარდა,

კიდევ ორასის ხმა ისმის წვრილი,  
ქვეყნის მომავალს არ დაგიდევენ,

მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ.  
რაა სამშობლო და სიყვარული, მათთვის უცხოა.

უცხოდ ბრუნავენ,  
სახელმწიფო და სამშობლო მათთვის,

გაურკვეველი ფენომენია,  
ერთ-ორს თუ ნახავ, ვისაც ეს გრძნობა გაუგია ან შემორჩენია.

სააკაშვილმა ეს სიყვარული ძირშივე მოსპო, არად აქცია,  
როცა არ იცი, რისთვის იბრძოლო,

შინაარსს კარგავს მათი აქცია.  
შვილი რომ დედამ უნდა აღზარდოს,

პოლიტიკოსმა ეს არ იცოდეს?  
დაგმოს წარსული, ტრადიციები

და პატრიოტად სურს, რომ იწოდეს?  
მათგან სხვაობით სხვა მაქვს აზრები, სულ სხვა მიდგომა,

სულ სხვა გაგება,  
ამიტომ არი, მეტს მივალწიე, მიყვარს მოგება და მძულს წაგება.

მიკიჟინებენ, თითქოს ვიცავდე „ნაცებს“  
და ჩუმად ვაძლიერებდე,

სიტყვით ვლანძღავდე,  
ამავდროს საქმით იმათ სალაროს ფულით ვავსებდე.

არ დაიჯეროთ. ცხრა წელი ძარცვეს,  
საჭირო ფულს ვერ დააგროვებდნენ?

მე მათთვის არც რა წამირთმევია.  
როცა უნდოდათ რა ვერ დადებდნენ?

ახლა განსაჯეთ, რა შუაში ვარ? უმუშევრობაც ჩემი ბრალია?



მე ერთი ყველას ვერ შევინახავ, ვინც ღარიბი და შესაბრალია.

ნიკა – უცხოთა ნებით, ფულით,  
შეკვეთით პერიოდულად რაღაც კეთდება,  
კვლევებს არქმევენ და აქვეყნებენ.

ამით ცხოვრება გამოკეთდება?  
ახლახანს მოხდა, გამოაქვეყნეს ლიდერებიდან  
ვინ რადა ფასობს,  
მასებს ვინ უყვარს, ვის უჯერებენ, ვინ ჯაბანია,  
ვინ მოკისკასობს.

იმათი აზრით ბაქრაძე<sup>1</sup> არი ცნობილთა შორის პოპულარული.  
„ოცნების“-ხალხი ბოლოში არი,  
როგორც ნარჩენი ვადაგასული.

ბიძინა – არ გაგიკვირდეს. მსგავსი კვლევები,  
უცოდინარი ხალხის ხელშია,  
თუ ყური უგდე და დაუჯერე, გადაგადებენ ჭორის ხევშია.  
ჭკვიანი ხალხი აღარ ენდობა. დევალვაცია ეტყობა კვლევებს,  
„ნაცების“ ფულით იკვებებიან, ჰკითხე ვინც იცის,  
ახლებს თუ ძველებს.

პოლიტიკურ სპექტრს დაუკვირდები, ჩაულრმავდები –  
გაგიკვირდება:

ერთი შეხედვით მრავალფერია,  
ერთი მეორის გვერდით არ დგება.  
სინამდვილეში ყველა „ნაცია“, შეხედე როგორ გაერთიანდნენ,  
თუ მტრები იყვნენ, ერთმანეთს ჭამდნენ,  
ეს დაივიწყეს და ძმები გახდნენ?  
მეც კი მოვტყუვდი, ივნისის ღამეს. ვთქვი,  
ჯანყდებიან ახალგაზრდები

1. დავით ბაქრაძე-პალამენტის ყოფილი თავჯდომარე. ოპოზიციის ზომიერი ლიდერი



ამიტომ იყო, პირობა მივეც,  
 საჩხუბრად შვილებს გავუვარდები?  
 შემდეგ დავფიქრდი, ეს როგორ ხდება მემარცხენენი,  
 მემარჯვენენი,  
 ერთი მეორეს ადრე რომ მტრობდნენ,  
 ახლა „ნაცების“ გამხდარან ძღვენი.  
 ეს მეც მანყობდა ცალკე რომ იყვნენ,  
 იქით და აქეთ უნდა მებრძოლა,  
 გაერთიანდნენ? „ნაცები“ – ვარქვი, მათი კრიტიკა ასე მეოლა.  
 და ვთქვი: სამშობლო ამათ არ უყვართ,  
 მასზე ზრუნვაში არ იღლებიან,  
 იდგნენ ქუჩაში, ისხდნენ კარვებში, სანამდე ჭკუას მოეგებიან.  
 „ნაცებს“ შანსი აქვთ ნოლი პროცენტი,  
 ჩვენი კი სამოცს გადააჭარბებს,  
 კოალიციის ნებას არ მივცემ,  
 ისე რომელი რომელს რას არგებს?

**ნიკა** – დღეს ძალზე რთული ვითარებაა. რომ ვუკვირდები,  
 საფრთხესა ვხედავ,  
 მოერევით თუ მოგერევიან? მაინტერესებს, კითხვას გიბედავ.

**ბიძინა** – კარგი კითხვაა. თანაც დროული.  
 პასუხს მსჯელობა კარგი სჭირდება,  
 თუ ბევრი რამე არ გავიხსენე, მისი გაგება გაგიჭირდება.  
 დემოკრატიულ ჩარჩოში ვრჩები,  
 ასე ვახერხებთ განვითარებას,  
 ოპოზიცია ჩარჩოებს გადის,  
 ამგვარად ცდილობს ჩვენ გაშავებას  
 შევხედოთ ოცი ივნისის საქმეს:  
 იყო რამ საფრთხე ან თუ არ იყო,  
 მთავარი არი იმ ღამის შემდეგ ცხოვრების ხაზი ორად გაიყო



„ნაცებს“ ეგონათ და მათთან ერთად,  
 ბევრი წარსულსაც გაიხეწებდა,  
 მომიტინგეთა პარლამენტს შესვლა, შენ როგორ ფიქრობ,  
 რა მიზანს სდევდა?  
 სხვა იყო, როცა შევარდნაძის დროს, დარბაზს შევარდნენ  
 და დაიკავეს,<sup>1</sup>  
 მოხუცი კაცი სახლში გაუშვეს, ნადავლი გაყვეს არ დაახანეს  
 ასე რად მოხდა, ამის გაგებას, ბევრის ცოდნა და შეცნობა უნდა?  
 მთავარი იყო, მოხუცის ირგვლივ არავინ იყო  
 შეკრული გუნდად,  
 ჩვენ გვექონდა ამის გამოცდილება, ამით ვიყავით უკვე ძლიერი.  
 რას დაგვაკლებდნენ მომიტინგენი, კარვებში მსხდომნი,  
 ყველა მშიერი?  
 ეს ანალიზი მათ ვერ შეიძლეს.  
 დარბაზში კიდევ რომ შესულიყვნენ,  
 იქვე სულ ყველას გამოვიჭერდით,  
 ვინ იჩივლებდა იყვნენ არ იყვნენ?  
 და ამას გარდა, არჩევნებისას,  
 ბიულეტენებს ჯგუფურად ყრიდნენ,  
 ჩვენ სხვა მეთოდით ვიგებთ არჩევნებს,  
 შესადარებლად ჩვენთან არც ღირდნენ.  
 ბოლოს ასეთი ფანდი იხმარეს,  
 თითქოს ვძარცვავდე ქვეყნის სიმდიდრეს,  
 მოგებ-წაგების არსი გაიგონ,  
 საქვეყნოდ ამ შარს მომდებენ ვიდრე.  
 მე ჩემი ფონდი მაქვს „ქართუ“ ბანკში, ბანკიც ჩემია,  
 ფონდიც ჩემია,  
 ვის ეკითხება. მხოლოდ მე ვიცი მოგებ-წაგების მონაცემია.

1. 2003წ. ნოემბერში, სახელმწიფო გადატრიალების დროს ვ. შევარდნაძემ ბრძნულად დაასკვნა: ახლა სახლში მივდივარ.



**ნიკა** – სხვაც ბევრი რამე გამიგონია, ზოგს ეს ჰგონია,  
 ზოგს ის ჰგონია  
 სიმართლეს თუ ვერ დაამტკიცებენ, ყველა ჭორია, მონაგონია.

**ბიძინა** – შენ მართალი ხარ, ბოლო ხანებში,  
 ბევრს ხმაურობენ ყველა „ნაცები.“  
 მებრძვიან, მაგრამ სულ უშედეგოდ – ზოგი გიჟები,  
 სხვები ანცები  
 ვინც მე არ მებრძვის, ჩუმად არიან, ისინი დუმან,  
 როგორც ბრძენები,  
 ბევრმა არ იცის და ვერც ერკვევა,  
 გამოწვდილი აქვთ ჩემსკენ ხელები.  
 კულტურულ ძალას ვუწოდებ მე მათ,  
 კურთხეულ ადგილს დასახლებულებს,  
 პატივცემულებს „ოცნების“-მხრიდან,  
 ჩემი წყალობით გალალბულებს.

**ნიკა** – კულტურის დონე, ქვეყნის მასშტაბით,  
 დემოკრატიის საფუძველია,  
 დემოკრატია ისეა მაღლა, ჩვენი კულტურა როგორც ძველია.  
 საუბედუროდ და სამწუხაროდ, ეკონომიკა მას ვერ მიჰყვება,  
 მათ შორის ზღვარი ძალზე დიდია, დამეთანხმება,  
 ვინაც მიხვდება.  
 ამიტომ ისმის ასე საკითხი: ეკონომიკას როგორ ვუშველოთ –  
 დემოკრატია დავამუხრუჭოთ  
 თუ რეალობა ხალხს არ ვუჩვენოთ?

**ბიძინა** – სიმართლე არი და ამ სიმართლეს შეფერადება  
 კი არ სჭირდება,  
 ეკონომიკა განვავითაროთ, სხვაფრივ ქვეყანას გაუჭირდება.  
 სტატისტიკური მონაცემებით, ანალიზით და კვლევა-ძიებით



ასე დგინდება: ევროპას ვჭარბობთ დემოკრატიის მამა-ძიებით.  
თავისუფლების ასეთი დონე მსოფლიოსათვის მისაბაძია,  
მასთან ბანძია ეკონომიკა, შესაძლებლობით თუმცა განძია.  
მოსახლეობის ნახევარია უცხო ქვეყნებში გადახვენილი,  
ნაწილი მიდის, ნაწილი რჩება. ურთიერთობა აქვთ აწენილი.  
ვინაც აქ დარჩა, უმუშევარი მათში მილიონ ნახევარია,  
ლეთის რისხვა არი, მას დავაბრალოთ, თუ ვთქვათ,  
ეშმაკის ნახელავია?

უმუშევრობის პრობლემის მოხსნა ჩვენ ძალს  
და ღონეს აღემატება,  
დაძლევის ნაცვლად ამიტომ არი მათი რიგების კიდევ მატება.  
გამოსავალი, ვფიქრობ ესაა. ესაა სხვების გამოცდილებით,  
დასავლეთს ვთხოვოთ უმუშევრები მიიღონ თავის ცოლით,  
შვილებით.

ბევრმა ქვეყანამ ამ გზით იარა, დიდი ხიფათი გამოიარა,  
შვება მიიღო დასავლეთიდან, უმუშევრობის მოსპო იარა.  
დღეს პოლონეთი და ბულგარეთი დასავლეთს არი შეფარებული,  
ვფიქრობ, ჩვენც ამ გზით უნდა ვიაროთ  
და რომ არ დავრჩეთ დამდაბლებული,  
ფარულად კი არ წავიდეთ იქით, ნება ვითხოვოთ  
და ლეგალურად

ნებას მოგვცემენ და გეგმიურად, თავშეკავებით  
და არა მგლურად.  
ჯერ გერმანია უნდა ავიღოთ, საფრანგეთი და ნიდერლანდები,  
სკანდინავიას რომ მივადგებით არ დაგვჭირდება  
ძველი ფანდები.

იქით წასულებს იქ უპატრონონ, დარჩენილებს მე მივეხმარები,  
თუ დაგვჭირდება აქ მუშა ხელი, აღმოსავლეთით  
გავხსნათ კარები.



აფრიკელები, აზიელები ჩვენებს იაფად ჩაანაცვლებენ,  
მოგებულები დავრჩებით ყველა, ეკონომიკას განაახლებენ.  
ძალზე წინ წასულ დემოკრატიას, ეკონომიკა თუ დაენევა,  
მოსახლეობა ამოისუნთქავს, შეწყდება შიგნით მიწვევ-მოწვევა.

**ნიკა** – მადლობას გწირავთ. ბევრი გაგიგე.

ბევრიც რამ რჩება გაუგებარი,  
ჩვენები წავლენ, უცხონი მოვლენ და გახდებიან ძმა-მეგობარი?  
განშორებისას მე წიგნს გაჩუქებთ, უტოპიაა თავადაც ნახავთ,  
პლიუს-მინუსი არეულია, როგორაც ჩვენთან და თქვენა სახავთ.  
მე კი რა მეთქმის მადლობის მეტი,  
ჩვენ დღემდე ისიც ვერ გაგიგია,  
აგვისტოს ომი<sup>1</sup> რუსეთთან გვქონდა.

ის წაგვიგია თუ მოგვიგია?  
ბევრი რამ ითქვა საფიქრებელი. ვარ ოპტიმისტი  
და მსურს ვიცოდე,  
გვაქვს პერსპექტივა თუ ჩემი დღენი უიმედობის  
ცეცხლში ვინოდე?

**ბიძინა** – არი ნათქვამი, რომ ცხოვრებაში

სულ ბოლოს კაცის იმედი კვდება,  
დაბადებიდან ასე ყოფილა, ცუდს თუ კარგს  
მუდამ იმედით ხვდება.  
ახლაც ასეა, გვაქვს პერსპექტივა.  
ისტორიულ ხაზს სწორედ მივყევით,  
თუ შეგვეშალა ან აგვერია, გამოვასწორობთ,  
როცა მივხვდებით.

თუ გავისხენებთ გარდასულ დროებს,  
გონების ძალით თუ შევაფასებთ,

1. 2008წ. აგვისტოს ომი, მიზეზები, შედეგები, ზოგისთვის დღემდე  
გაურკვეველია



ვნახავთ, ვადგევართ აღმავლობის გზას,  
 რასაც შევიძლებთ ვაშენებთ, ვავსებთ.  
 ხომ ვისაუბრეთ. დემოკრატია სრულეყავით,  
 ყველას გადავუსწარიტ,  
 სახელისუფლო ინსტიტუტები გავაძლიერეთ, ერთად შევკარით.  
 როცა „ნაცები“ აქ ბატონობდნენ ადვილი იყო  
 ხელმძღვანელობა –  
 სააკაშვილი რასაც იტყოდა, ბასტა! – არ იყო სხვა რამ მცდელობა  
 დღეს სხვა გზა გვიძევს და ამოცანა, ზვალ უფრო სრულეყოფთ  
 დემოკრატიას,  
 ბიუროკრატებს სხვა ხელფასს მივცემთ  
 და დავამკვიდრებთ პლუტოკრატიას.  
 ამ მეთოდებით სიცრუეს მოვსპობთ,  
 თითქოს მე ვძარცვავ ჩემსავ ქვეყანას,  
 მუქტად ვყიდულობ და ძვირად ვყიდი,  
 ტყეს მთაში ვსპობდე და ბარში ყანას.  
 ასწლოვან ხეებს ვისაკუთრებდე,  
 ბუნების კანონს არაფრად ვსდევედე,  
 ქურდებს ვეძმოდე, ვაძლიერებდე,  
 ქვეყნის კანონებს ვწვავდე და ვხევდე.  
 სხვა თუ ვერ ხვდება, სხვამ თუ არ იცის,  
 თავის მართლება მე არ მჭირდება,  
 მიყვარს ქვეყანა, მის სამსახურში არც ვიღლები,  
 არც გამიჭირდება.





**ჟამთა მროველი** – პროფესიული იდიოტიზმი ახასიათებთ  
 მხოლოდ ჭკვიანებს.  
 არ ემართებათ ასეთი ჩვევა ცეტებს, დებილებს,  
 გონით ჭიანებს.  
 მე შენ მგონიხარ ძალზე ჭკვიანი, მიზანმიმართულ  
 ჩვევების მქონე,  
 გნებავს, რაც ითქვა, მიიღე თავზე,  
 გნებავს, ჩათვალე – ვერ გაიგონე.

**ბიძინა** – ცეტი არა ვარ, არ მოვისმინო  
 და ყრუც არა ვარ, ვერ გავიგონო,  
 მაგრამ ვერ ვხვდები, მე რად მეხება,  
 არც მინდა, რამე გამოვიგონო.  
 პროფესიული, გასაგებია, პროფესია მაქვს მრავალნაირი,  
 ბევრი რამა მაქვს გადატანილი, ძნელად სათქმელი, განა შაირი.  
 ქვეყნიერება შემომივლია, ცდა-შემართება არ დამიკლია,  
 იდიოტიზმს რომ იტყვიან მერე,  
 ნიშნავს ჭკვა არ მაქვს, რაღაც მიკლია?

**ჟამთა მროველი** – ვერ გაგიგია. ჭკვიანი სხვაა,  
 სხვაა ჭკვიანის ურყევი ჩვევა.  
 ჭკუა რომ საზღვრავს, ერთი მხარეა,  
 აღსრულებისას ჩვევა ერევა,  
 ნათქვამი მეტად რომ გახდეს ცხადი, მაგალითს გეტყვი,  
 რაც მოხდა ადრე,  
 ოღონდ არა თქვა, რა შუაში ვარ,  
 ასე წვრილმანი მე როგორ მკადრე,  
 მეზობლად მყავდა ერთი ბრძენკაცი,  
 კაცობის ავი-კარგი იცოდა.  
 მხოლოდ ეგაა, უყვარდა ქრთამი,  
 ქრთამის ალების ცეცხლით იწოდა,



ერთხელაც უთხრეს, ხარ ჩაშვებული, ხვალ ქრთამს აიღებ  
 და დაგიჭერენ.  
 ორგანოებმა იციან ყველა, განსაზღვრული აქვთ,  
 შორიდან მზერენ,  
 დალონდა კაცი, შეშინებული, რა ქნას,  
 ეს ქრთამი როგორ დაკარგოს?  
 ჩვევა აქვს, ქრთამი უნდა აიღოს, რომ არ აიღოს,  
 როგორ ივარგოს?  
 კაბინეტში ქრთამს ვერ გადამალავს,  
 ყველას გაჩხრეკენ და იბოვნიან.  
 იმან „ჩაუშვა“ ვინც ქრთამს მიუტანს,  
 გადავადებაც გამოდის გვიან,  
 ნათქვამი არი, რომ კაცის ჩვევა,  
 ბევრჯერ რწმენაზე უმტკიცესია.  
 პროფესიული მისი ეს ჩვევა, მისსავ ბუნებას დაუთესია  
 და მეზობელმა ეს გადანყვიტა:  
 მოკვდება, ქრთამზე ვერ იტყვის უარს.  
 თანამშრომლებსაც ვერ გაენდობა, ყველა „გაყიდოს“,  
 ვინაც გარს უარს,  
 ვერ მოისვენა, ღამე გატეხა, დილით ცოლს მისცა ეს დავალება:  
 ამა და ამ დროს, ამ ადგილს მიდი, გამოიჩინე ცოტა გაძლება,  
 იცი, იქ ჩემი კაბინეტია და ქუჩის მხარეს, ერთი ფანჯარა  
 ღია იქნება, დაუდარაჯდი, ყისტმათი ჩემი თუ წამეხმარა,  
 ფაჯრიდან რაღაც გადმოვარდება, აიღე სწრაფად და გაეცალე.  
 ვერავინ გნახოს, ვერავინ გიცნოს,  
 ნაპოვნთან ერთად სახე დამალე,  
 დანიშნულ დროზე, მის კაბინეტში,  
 შემოსრილდა ქრთამის მიმტანი,  
 იუდას კოცნა, მცირე მოკითხვა,  
 გამყიდველს უნდა გაუხმეს ჯანი,



ქრთამი დადო და გამოეთხოვა:

კაცმა ის შეკვრა გარეთ ისროლა,  
იქ ცოლი იდგა, ელოდებოდა. რა მოხდა, არ ღირს ამის მოყოლა,  
ქრთამის მიმტანი როცა გავიდა,

ერთ წუთში გაჩნდნენ „გადაცმულები“,  
კაცი ვით იჯდა, ისევე იჯდა და ვერ უნახეს ვერსად ფულები.  
ფანჯრიდან ქვევით გადაიხედეს,

ვერ დაინახეს თუნდაც გამვლელი,  
მაგიდა იქვე ამოაბრუნეს და გადაქექეს ოთახი ვრცელი.

ვერც რა იპოვეს, ქრთამის მიმცემი თან გაიყოლეს,  
როგორც მტყუანი,

მეზობელს ასე შერჩა ის ქრთამი

და არც უთქვია სხვა დროს უარი.

ჩვევაა კაცის და როცა ჩვევა მას პროფესიად გადაექცევა,

სხვაგვარად განსჯაც არ შეუძლია, სხვაგვარი ფიქრი,  
სხვაგვარი ქცევა.

**ბიძინა** – ის მეზობელი გყოლია კაცი საქმის გამრიგე,  
მართლა ჭკვიანი,

მე განსხვავებულ გზებით მივლია

და არც მომსვლია რამე ზიანი.

ჭკვიანს საფიქრალს რა გამოუღევეს,

მართალი თქვი და დაგეთანხმები,  
როგორ იქნება, რომ არ ვიფიქრო, ათასნაირი ჩამესმის ხმები.

წესად მაქვს, ადრე ვიცი დაწოლა.

დავწვები უცებ კი არ ვიძინებ,  
ვანალიზებ ნანახს, გაგონილს, ზოგს ვეთანხმები,

ზოგზე ვიციანებ.

ასეთი ჩვევა ბუნებრივია, იდიოტიზმად არ მიმიღია,

ყველა ნორმალურს ასე სჩვევია, ასეთი ვარ და დავალ გუღლია.



ისე, სწორი ხარ, ვის რა ან უნებს, მიწყევ იგივე ალაპარაკებს.  
 რაც გულით უნდა, მისთვის ირჯება,  
 რატომ მოყვება ზღაპარ-არაკებს?

**ჟამთა მროველი** – ათასი ფიქრი თავს მოხვეული,  
 მათში ისეთი, თავს არ ანებებს,  
 ანერვიულებს, თუმცა არ იმჩნევს, მაშინაც,  
 როცა ისმენს სხვა ამბებს.  
 ზოგჯერ უნდა, რომ საფიქრალს მოწყდეს,  
 დაივიწყოს და ახალს ეწიოს,  
 ეს იგივეა, საკუთარ აჩრდილს გაექცეს, რათა სხვას დაეწიოს.  
 თუ ჩვევა რჯულზე უმტკიცესია, მათში, რაც კაცში დანათესია,  
 ანგარიშის და მოგების ჩვევა, საფუძველია, როგორც წესია.

**ბიძინა** – ადამიანის გრძელი ცხოვრება ცდაა,  
 მოიგოს და არ წააგოს,  
 მტერს მტრულად დახვდეს, არ დაზარალებს,  
 გარემოფეთთან პასუხი აგოს.  
 ვინც ჭკვიანია და გაბედული, გაბედულებაც დიდი განძია,  
 უნდა შეიძლოს, გამოიყენოს შინაური თუ გარეშე ძია.  
 კაცი ხერხია და არა ეწო, ყველასთან არი პასუხის მგები,  
 ის გაიმარჯვებს, ვინაც გახდება,  
 ავის და კარგის სწორად გამგები.  
 ქრთამი ახსენე ქრთამით თუ ისე,  
 ქვეყნად მრავალი გამდიდრებულა.  
 ვინც ვერ იშოვის – დაბეჩავდება,  
 ვინც ბევრს იშოვის – ხდება დიდგულა.



**ჟამთა მროველი** – ეს დიაგნოზი ძალზე ზუსტია,  
 თუმცა ფორმა აქვს მაინც ზოგადი,  
 თუ მოძრაობის საკითხს ვეხებით, ხომ სხვაობაა მოდი თუ წადი?  
 ასეა აქაც: ხდება დიდგულა, უფრო მრავალი ბეჩავი რჩება,  
 თეორიების ცოდნა ვერ შველის,

თუ ვერ შეიძლო ვერ გადარჩება.  
 გადარჩენისთვის რაა საჭირო, ამის რეცეპტი ძალზე რთულია,  
 ბევრი ისეთი იგულისხმება, რაც გარეშესთვის დამალულია.  
 უმაღლესში რაც შენ გისწავლია, მილიონებმა იგივე ისწავლეს,  
 მაგრამ შენდენი მაინც ვერ შეძლეს,  
 წვლებით იქნებ ბევრიც ინვალეს,  
 შენ რამ შეგიწყო ხელი, დრო მალავს,  
 დროში იმალვის წარსული ბნელი.  
 მოსაყოლია ამბავი გრძელი, მაგრამ არ იტყვი, არ ხარ სულელი.

**ბიძინა** – ნებისმიერი ადამიანი რაღაცას იტყვის,  
 უფრო მეტს მალავს,  
 ხან დასამალიც არაფერია და არ დაატანს თავს მაინც ძალას,  
 რაც გამიგია და მისწავლია, ჩემია, სხვისთვის რა საჭიროა.  
 მასებმა სხვისი პატივისცემა უნდა იცოდნენ, მე მგონი, დროა.  
 მე მხოლოდ ის ვთქვი, ამ ცხოვრებაში, თუ ვერ იშოვე,  
 ბეჩავი რჩები.

გაუტანლობა ჩაგწიხლავს ბევრჯერ,  
 ბევრჯერ დაცინვას ვერ გადარჩები  
 და თუ იშოვი, თუ ბევრს იშოვი,  
 მე მაგალითი შენთვის გავხდები,  
 დღეს რომ არაფრად არ მიმაჩნიახარ, ბატონოს გეტყვი,  
 ვიქნებით ძმები.



**ჟამთა მროველი** – მსგავსი მსჯელობა არ ახალია,  
 ჯერ კიდევ როდის ენგელსმა ბრძანა:<sup>1</sup>  
 სადაც ფულია ბატონ-პატრონი, იქ მთავარია ეს ანაბანა;  
 უფულო კაცი ბეჩავი არი, დიდი ფული კი გამრყენელი დიდად,  
 ორივე ერთად დიდი ნაკლია და, როგორ გინდა,  
 უყურო მშვიდად?

უნდა დაემხოს ისეთი ყოფა,  
 ერთი-მეორის ხარჯზე ცხოვრობდეს,  
 ბევრი მონური შრომით შრომობდეს, სხვა ითვისებდეს,  
 თავს მეფედ გრძნობდეს.  
 საინტერესო აქ სხვა რამეა,  
 ფულის ფუნქციებს რომ ასწავლიდნენ,  
 მის გამრყენელ როლზე არას ამბობენ,  
 თუ უმნიშვნელო ფაქტორად თვლიდნენ?

**ბიძინა** – ფული რყვნის კაცსო. ისე გამოდის,  
 ვინც ფულს შოულობს, კიდევ ირყვნება.  
 ტყუილად კაპიკს არავინ მოგცემს,  
 ცხოვრება მოგთხოვს, როგორ იქნება?  
 მე მიშოვია ყველაზე მეტი. მაშინ ყველაზე გარყვნილი მე ვარ?  
 ის ვინც წმინდანად დაბადებულა,  
 ასე გამოდის, ბანდიტსა ვგეგვარ?  
 უფულო კაცი რომ ბეჩავია, დაგეთანხმები, მისი ცხოვრება  
 უფერულია... ლუკმისთვის შრომა, მუდმივ იგივეს განმეორება.

1. ფ. ენგელსი (1820-1895)-მდიდარი გერმანელი მენარმის შვილი. მიიღო მრავალმხრივი განათლება, ამბობენ 20წ. ასაკში 15 უცხო ენას ფლობდა. იყო რა გ.ვ.ჰეგელის მოძღვრების მიმდევარი და მცოდნე. შეძლო აეხსნა ბუნებისა და საზოგადოების განვითარების დიალექტიკა. 23წლისამ საფუძველი დაუდო კაპიტალისტური წყობილების მეცნიერულ გაგებას. 1895წ. დაასკვნა ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც გერმანია იყო სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობა. (ფეოდალურ, ბნელ რუსეთის იმპერიაზე მსელობაც არ შეიძლებოდა. ამის შესახებ, ავტორის „პოლიტოლოგიის საფუძველი“).



ბავშვობაში მეც ბევრი რამ მაკლდა  
 და ამის გამო ვიტანჯებოდი,  
 ჩემ მშობელ მამას სხვა არ შეეძლო,  
 მის გზას ამიტომ ვერ გავყვებოდი.  
 ვინაც ჩემსავით სხვა გზა მონახა, ოცნება დათმო,  
 გახდა ცნობილი,  
 უმეტესობა გარშემო ბრუნავს, მაგრამ არაა ჩემი ძმობილი.  
 შეხედე, მხოლოდ პარლამენტში მყავს  
 ორმოცდაერთი მილიონერი,  
 მამაჩემის გზით კი არ დადიან, მე ვარ იმათი პატრონ-სამზერი.  
 შენი ნათქვამით ისე გამოდის, ბანდიტებია დეჰუტატები?  
 მთავრობის ხალხი, მოხელეები, იმათში როგორ დავიხატები?  
 მსგავსი მიდგომით რომ გავაგრძელოთ,  
 ვინც კარგად ცხოვრობს, გარყვნილება.  
 მდიდარ-ლარიბი, მაძლარ-მშიერი,  
 ჩვენი ცხოვრების თანამხლებია,  
 შენ როგორ გინდა, რომ გაასწორო,  
 მდიდარს წაართვა ლარიბს აძლიო?  
 ყველას ერთგვარად ასვა-აჭამო, უსამართლობა ასე დაძლიო?  
 სისულელეა, უსამართლობით  
 უსამართლობას ვერ დაამარცხებ,  
 საერთო ქვაბში ვერ მოადუღებ,  
 მილიონების სათქვლევს და საცხებს.

**ჟამთა მროველი** – ვერ გაგიგია, ანდა არ განწყობს,  
 როგორც ითქმება, ისე გაიგო.  
 სიტყვის დევნაში აზრს ამახინჯებ და გსურს,  
 სიცრუის კოშკი აიგო,  
 არავინ ამბობს, ადამის მოდგმა ჯანით და გონის თანაბარია,  
 ამიტომ უნდა თანაბრად გაჰყო, რაც გიშოვია და გაბარია.



შენ ორ ერთნაირს ქვეყნად ვერ ნახავ,  
განსხვავდებიან თავად ტყუპები,  
მაგრამ საერთო აზრით და ქცევით, მილიონები ხდებიან ძმები.  
მე მხოლოდ ის ვთქვი,  
სტუდენტობისას, ფულის ფუნქციებს რომ გასწავლიდნენ,  
მის გამრყენელ როლზე არას ამბობდნენ,  
ეტყობა, ფულის ნაკლად არ თვლიდნენ.  
შენ კი გაიგე, როგორც გასწავლეს,  
მის მერე აზრი არ შეგიცვლია,  
ბოლშევიკურად აზროვნებ დღესაც, გწამს, მართალი ხარ,  
დახვალ გუგულია.

ბიძინა – ფულის ფუნქციებს მე ვინ მასწავლის,  
თვალს რომ გავახელ, ისაც ფულია.  
რაც მიშოვია, ბანკს აბარია, დანარჩენი კი – დამალულია.  
ბოლშევიკების ხელში ვიზარდე,  
არ ნიშნავს, მათი დამაქვს აზრები,  
სხვისგან სხვაობით ძირამდე ჩავწვდი,  
სხვას ამაზე არ დავებაზრები.  
შენ მაგალითი მითხარ მეზობლის,  
მე სხვა მაგალითს მიგითითებდი,  
ჩემზე ადრე გაქვს წიგნით ნასწავლი,  
ნასწავლს და ნანახს თუ ანსხვავებდი?  
სიტყვით ხომ იყო თანასწორობა,  
შრომის მიხედვით განაწილება.  
სამართლიანი იყო ცხოვრება, სიტყვის და საქმის არდაცილება,  
იქამდე იყო თავდაჯერება, მცხეთას არსენას ძეგლი დაუდგეს,  
როგორც პატრიარქს თავისუფლების,  
როგორც ბერმუხას, ფესვი გაუდგეს.  
სინამდვილეში, ოძელაშვილი თავისი დროის ყაჩაღი იყო



დიდი ამბავი, ერთს თუ წაართვა  
და წართმეული სხვებზე გაიყო.  
ბოლშევიკების დროშიც ხომ იყვნენ  
მათხოვრები და ბევრად მდიდრები,  
ერთს ბევრი ჰქონდა, სხვას არაფერი,  
ლარიბი მდიდარს ვერ შეედრება.  
შენ რომ წაგერთვა მდიდრისთვის ფული  
და მათხოვრისთვის გეჩუქებინა,  
ელისებოდა მასაც გაძლომა, შეეძლებოდა ეყიდა ბინა,  
როგორა ფიქრობ, ამ არსებობას ბოლშევიკები გაპატიებდნენ?  
ციმბირის იქით გაგასახლებდნენ,  
მტრად გადასახვდნენ, იქნებ, დაგხვრეტდნენ.  
ბავშვს რომ მასწავლეს არსენას ლექსი,  
იმ წყობილების სიყალბეს მიხვდი,  
ფულის ფუნქციებს ჯერ არ ვიცნობდი,  
მაგრამ მის ძალას ერთბაშად მივწვდი.  
ბოლშევიკებმა საქმით მანახეს, ნათქვამი სხვაა,  
პრაქტიკა სხვაა,  
ფუჭი სიტყვებით ჰაერს შეარხევ,  
საქმე კი ბევრჯერ ბევრის რისხვაა.  
ოღონდ, იცოდე, როდის და რა თქვა,  
რომ დაგიჭირონ, კაცი ეგონო.  
დრო რომ გაივლის, დრო მკურნალია,  
სიმართლის მთქმელად რომ მოეგონო.

**ჟამთა მროველი** – ერთში შევთანხმდეთ. სად ფული მეფობს,  
იქ სამართალიც ფულითა წყდება.  
ვისაც ფული აქვს, სასურველს აღწევს,  
უფულო კაცი მათხოვრად კვდება.  
არადა, ნახე, ქალი თუ კაცი, ერთი-მეორეს თუ აჭარბებენ,



გონით თუ ძალით არა იმდენად  
 და ვერც ერთუროთის გარეშე სძლებენ.  
 მოქმედების დროც აქვთ შეზღუდული,  
 სამუშაო დრო, ძილის თუ ჭამის,  
 ათასი რამე აქვთ საზრუნავი, იქითკენ იმის, აქეთკენ ამის –  
 ცხოვრობენ ასეთ ვითარებაში.  
 დღეს რაღაც შეძლო, სხვა უფრო მეტი,  
 ბევრიც ეცადოს, თავდადებული,  
 რამდენად არი სხვაზე ნამეტი?  
 შესაბამისად, შემოსავალიც შრომის შედეგით თუ დაითვლება,  
 სიმდიდრის გამო, ერთი-მეორის, შური არავის მიეძალება.  
 აღარ იქნება მიწვევ-მოწვევა, ის მტყუანია, ის კი მართალი  
 და ფულზეც აღარ გაიყიდება, ჩვენი კაცობა და სამართალი.

**ბიძინა** – სოციალიზმი ერქვა იმ წყობას,  
 დაგვაძალებდნენ ასე მის ხმობას,  
 სტუდენტობისას ასეც მეგონა, სიმართლით ვჭედო  
 და ვამტკიცებო ძმობას,  
 ცხოვრებამ მომცა სხვა მაგალითი,  
 ვის დაჰკარგვიხარ, ვისა სჭირდები?  
 რაც შეგიძლია, შენ მიითვისე, რამდენს იშოვი,  
 იმდენს ძვირდები,  
 უმუშევარი ვერ დარჩებოდი, უმუშევარი პასუხს აგებდი.  
 სად იჩივლებდი, არ გინდა შრომა,  
 დაგიჭერდნენ და თავს წააგებდი.  
 შრომის მიხედვით გაძლევდნენ ხელფასს, იმდენს,  
 მშიერი არ მოკვდებოდი,  
 გაგრძელდებოდა ასე იმ დრომდე,  
 თუ ხელმძღვანელი არ გახდებოდი.  
 ხელმძღვანელობის შემოსავალი სიდიდის წილით იზომებოდა,



პასუხისგება რაც დიდი ჰქონდა, შემოსავალიც დიდი ხდებოდა.  
ზუსტად ისევე, როგორც დღეს არი,

თუმც სოციალიზმს დღეს არ ვუწოდებთ,

პრივილეგიებს ისეთსვე ვაძლევთ,

ერთგულებისთვის ხელს გავუწოდებთ.

**ჟამთა მროველი** – ლოგიკურია ასეთი დასკვნა,

შენი მსჯელობის დასკვნა მედეგი,

არსებითია არა სახელი, არსებითია მისი შედეგი.

სოციალიზმი კი არა გვქონდა, სოციალიზმი იყო სახელი,

შინაარსით კი კაპიტალიზმი, იტყოდა მცოდნე, მისი მნახველი.

ჩვენ სახელმწიფო კაპიტალიზმი,

კერძო ფირმებად დავანაწილეთ,

ქურდებს, ყაჩაღებს მივეცით წილი, ტაციაობა ვერ ავიცილეთ.

ხომ ხარ ყველაზე უფრო მდიდარი, ყველაზე მეტი მიგიტაცია,

ყველა ტაცია-დემოკრატია, ვინც ვერ იტაცებს, ის რა კაცია?

**ბიძინა** – ისეთი დასკვნა გამოიტანე, ვიმსჯელოთ,

მე ვერ დაგეთანხმები,

ყველა მეთაურს რესპუბლიკისა შეთანხმებული გვქონია ხმები.

მე შევარდნაძეს ვერ შემადარებ, ზვიადსაც კი არ დავედარები,

სააკაშვილზე დაგეთანხმები, ყაჩაღებისთვის გახსნა კარები.

მარგველაშვილი მეთაურობდა?

არ ჰქონდა ჩემგან ამის უფლება.

სახელი ჰქონდა, სახრავი არა. მისი ხსენებაც კი მეძნელება.

მიტომ შევცვალე. მისგან სხვაობით,

სალომე მისდევს ჩემ ბრძანებასა,

პრემიერებზე აღარას ვიტყვი, არც იმსახურებს აქ ხსენებასა.

მე ერთადერთმა შევქელი მხოლოდ, დამენყო

ქვეყნის აღმშენებლობა.



სიახლეების გზების ძიება, ხალხის მოთოკვა,  
 მტრებთან მძახლობა,  
 არ ცყოფილიყავ მე დემოკრატი,  
 ხალხის უფლებებს ვინ დაიცავდა?  
 მიშა ერთგვარად ძარცვავდა ყველას,  
 ვინც იჩივლებდა, ციხეში სვამდა,  
 თავად მეც, განა, ცოტა წამგლიჯა,  
 მეც ვითომ ნებით ვაფინანსებდი.  
 სხვა გზა არ მქონდა, ოჯახს ვაკლებდი,  
 ქვეყნის ხაზინას ასე ვავსებდი,  
 ნოემბერში რომ მოაწყო რბევა, იმის ტყვიებიც მე მაყიდინა.<sup>1</sup>  
 მომიტინგეებს ტყავი გააძრო, საცოდაობის ცრემლი მადინა,  
 მე მხოლოდ ერთხელ, ოც ივნისს იყო,  
 მომიტინგეებს დედა ვუტირე.  
 გგონია სულ არ მეცოდებოდნენ, ტელევიზიით როცა ვუცქირე?  
 გავიმეორებ, სხვა გზა არ დამრჩა,  
 დემოკრატიის დამხობა სურდათ,  
 ჩამოვურიგე მცირე სასჯელი,  
 დათვის ტყვიებიც ვაჩუქე ხურდათ.  
 გამსახურდია კი არ ვიყავი, ჩავკეტილიყავ, გავქცეულიყავ –  
 რაც ხალხმა მომცა, უკან მიმეცა. ისე მოვიქეც, როგორიც ვიყავ.  
 ვერც ერთ პრეზიდენტს ვერ შემადარებ,  
 დემოკრატი ვარ გამორჩეული,  
 ხალხის შვილი ვარ, ხალხისთვის ვშრომობ,  
 მისგან მოგებას ვარ დაჩვეული.

**ჟამთა მროველი** – უცნაურია კაცის ბუნება,  
 თუ საქმე წახდა, სხვას გაამტყუნებს,

1. იგულისხმება 2007წ. ნოემბერში მშვიდობიანი მომიტინგეების სასტიკი დარბევა



თავისი ცუდი სხვის კარგს სჯობია, თავისას ინდობს,  
 სხვისას იწუნებს.  
 თუ რამ შეიძლო – გადიდგულდება, ღონეც ჰქონია,  
 ცოდნაც ჰქონია,  
 მრჩეველიც ჰყავდეს ბევრად ჭკვიანი,  
 მასთან სხვის რჩევაც მონაგონია.  
 შენც ასე მოგდის. ბევრს მიაღწიე, საკითხავია,  
 როგორი გზებით,  
 ბილ გეიტსივით, გამოგონებით,  
 მეცნიერული კვლევით და გზნებით?  
 გაიგონებენ შენს გვარს და სახელს  
 და იკითხავენ-ვინ ოხერია?  
 ვის დაეკარგა ამ ქვეყანაზე, სად რა იშოვა, ვის მოერია?  
 არადა, გქონდა ბრწყინვალე შანსი,  
 ერის რჩეული გამხდარიყავი,  
 მალე არავის გაახსენდები, დაივიწყებენ რატომ იყავი.  
 შენ თუ გგონია, დემოკრატი ხარ, ავის და კარგის იცი სხვაობა,  
 რას ნიშნავს სიტყვა, რა არი საქმით,  
 მეცნიერული მისი რაობა?

**ბიძინა** – იმდენი შევეძელ, შენებრ უვიცებს,  
 რაც უკუღმართად მოეჩვენებათ,  
 წლების მანძილზე სოფლებს ვაშენებ,  
 თუ გლეხებს შრომა არ ეზარებათ.  
 მე ხომ არ ვუშლი, საქმე აკეთონ, ოჯახს შემატონ, გამოაკეთონ,  
 მე რას მიცქერენ, ძიძა კი არ ვარ,  
 მე დავუმზადო და იმათ ხეთქონ!  
 ერთხელ მოყვევი: გარეთ რა გინდა,  
 მალე შემოდი, ქალო, „ბუტკაში!“  
 „ბუტკის“ კარები ჩაუკეტიათ, გარეთ უშვებენ, ეს უზით ჭკვაში.  
 ნახე ევროპა, ნახე თურქეთი, ჩვენი ქალების „ბუტკა“ გამხდარა,



ფულს შოულობენ, აქ აგზავნიან, ვინც „ეხმარება“,  
 ღმერთმა ახარა,  
 მხოლოდ ერთია, უქალო სოფელს, საკითხავია, რა ეშველება?  
 დროებით მაინც ხომ არ მიმეცა  
 ერთსქესიანთა ქორწილის ნება  
 ან ჩინელები ჩამომეყვანა შვილის გაჩენას მონატრულები  
 ინდოელები, იქნებ ზანგები, ფერით საცნობი და ერთგულები?  
 ქალაქს შევპირდი ას დიდ ქარხანას,  
 არ მოინდომეს მათი შენება,  
 პოლიტიკაში ჩაბმა არჩიეს, რა ძალა იყო მივეცი ნება,  
 რასაც შევპირდი ხალხს, შევუსრულე,  
 მაგრამ სიკეთეს დაინახავენ?  
 თავისუფლები არიან ჩემგან, ასეთ დემოკრატს სადა ნახავენ?  
 მოვიფიქრე და ახლა დავგეგმე,  
 დემოკრატიზაციით რომ გავიხარო,  
 ჩავაწყო საქმე გერმანიასთან, ვინც მეურჩება, იქით გავყარო,  
 ან იშრომებენ, ან იქურდებენ, იქ წასულები გამდიდრდებიან,  
 ნაშოვნ-ნაპარავს ჩამოიტანენ, დარჩენილები აქ დახვდებიან.  
 ასე ქონების განაწილება, საერთო საქმეს ხომ წაადგება,  
 უმუშევრობა რომ დაიძლევა, ჩვენი ქვეყანაც ფეხზე დადგება.  
 თავისუფლების მაღალი დონე, დემოკრატია არაა განა?  
 ავტოკრატს მარქმევს მხოლოდ ის ხალხი,  
 ვინც ვერ გაიგო და ვინც მიგანა,  
 პარტიებს ქმნიან და მოითხოვენ პროპორციული არჩევნებით.  
 ამ გზით არჩეულს ვერ შევისყიდი,  
 არ შემიძლია, რომ დავიბიო?  
 ას ორმოცდაათ დეპუტატს შორის,  
 ას თხუთმეტი ხომ იურისტია,  
 სად ნახავ სხვაგან ამდენ აფერისტს, ზოგი მცოდნეა,  
 ზოგი ხისტია.



მიდი და ჰკითხე დემოკრატია

ჩემზე ბრწყინვალედ რომელმა იცის  
ვარგანან მხოლოდ წვრილმან საქმეში,

ზოგია მინის, დანარჩენი ცის  
კონსტიტუცია დავანერინე, მთავარი აზრი, ჩემი კარნახით  
დემოკრატია მაშინ გაიგეს ჩემი ბრძანებით,

კონსპექტის ნახვით  
შენ დაუკვირდი, ამიტომ არი, ვერ გაუგიათ თავი და ბოლო  
ისეც კარგია, ასეც კარგია, ჰკითხე რაც გინდა რომ მოაყოლო  
ფუნქციებია ზუსტად გათვლილი პრეზიდენტისა, პრემიერისა  
ყველა იქიდან გამომდინარე ჩემგან ბრძანება ექნებათ რისა  
წლების წინ დავთქვი ვარ დემოკრატია განათლებული,

მონდომებული  
და ისეთს შევქმნი ჩემ ქვეყანაში, ევროპა დარჩეს გაოცებული  
მიდით და ნახეთ, ევროპელები ვერცა მალავენ გაოცებასა  
წარმატებების მიზეზს ეძებენ და დაიწყებენ აქ ძიებასა.

**ჟამთა მროველი** – ეგ მართალია, ბევრი სტუმარი,

დადის ქუჩებში გაოცებული.

რა იყო უწინ, რა არი ახლა, შემოგვყურებენ დადუმებული,  
დამნაშავენი მომრავლებულან, ქაოსი მეფობს და უწესობა.

„შავი“ ხალხისთვის სასიამოვნო, პატიოსნებს კი ეკლად ესობა,  
ქვეყნად ასეთი დემოკრატია, ყველასთვის არი გასაოცარი.

მკვლევებს იწყალებ, დეკანოზს დევნი,

შენ სამართალი იცი ამგვარი,  
კონსტიტუციით ხელისუფლება, რაღაც შტოებად დაყოფილია.  
თითქოს სიახლე ყვავის იმ ხაზით, რაც დამპალია და ყოფილია.  
საკანონმდებლო, სააღსრულებლო,

და სასამართლო მასთან სისტემა.



ერთი არი თუ არი სხვადასხვა, რომ გაარჩიო, მოგინევს გვემა.  
ამასთან, ნახე, ოხრულად არი ერთი მეორეს ჩაშენებული,  
რომელი რომლის ზედამდგომია,

რითი და როგორ აღმატებული?

ხალხი აირჩევს საკანონმდებლოს, აირჩევიან დეპუტატები.  
პარლამენტში კი იმდენი საქმობს,

ვერ დაითვლი და დაიფანტება,  
დეპუტატები რას გადაწყვეტენ, დანარჩენებმა ის აღასრულონ.  
აღასრულებენ? დეპუტატებმა

მათ საქმეს უნდა შორით უყურონ,  
ეს ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი არჩეულია.  
აქ არ ითქმება, დეპუტატები, წინასწარ ვისგან გარჩეულია,  
ის, ვინც დეპუტატს დიდ ხელფასს აძლევს,

პრივილეგიებს ჩამოურიგებს,  
უკვე ყიდულობს მის მორჩილებას

და მორჩილები ავსებენ რიგებს.  
ვისა სჭირდება სხვისი სიმართლე,

სხვის ბედზე ზრუნვას არ მოუწდება,  
სხვისი ჭირი ხომ „ღობეს ჩხირია“,

საკუთარი კი მუდმივ ბრუნდება,  
ამიტომ არი, პარლამენტში ზის ორმოცდაერთი მილიონერი,  
რა ხალხზე ზრუნვამ მიიყვანა იქ

და მათზე დარდით მოუშვეს წვერი?  
თუ ნახეს კარგი თავშესაფარი, შემოსავალიც დიდი და მყარი,  
ასეთი მოსწონთ დემოკრატია, შენც ასეთებით ხდები მაგარი.  
დღეს კამათობენ დეპუტატები, როგორი წესით აირჩევიან,  
პროპორციული, მაჟორიტარი. ვითომ კაცობით გაირჩევიან?  
მათთვის მთავარი ხალხი კი არა, ძალაუფლება არი მთავარი,  
დაგნებდებიან, წილში გაიყვან, ერთი გექნებათ გზა-გასაყარი.



საკანონმდებლო არი სალაყო,  
 რალაც კანონებს დაამტკიცებენ,  
 ვინ შეასრულებს, რას შეასრულებს,  
 ტელევიზიით გვიან იგებენ.  
 სააღსრულებლო ხელისუფლების ხელშია მთელი ძალაუფლება,  
 ისაა მეფე ამ ქვეყანაში, ვინც ამ უფლებას დაეუფლება  
 თუ პარლამენტში, ოთხ წელში ერთხელ, ვითომ ირჩევენ მას,  
 ვინც სხვებს უნდათ,  
 სხვადასხვა ჯურის პარტიელები შეიკვრებიან ამიტომ გუნდათ,  
 სააღსრულებლო მთელი სისტემა არჩევნებისგან გარიყულია,  
 არავინ იცის, ვინ და ვინ არი, ყველა ზევიდან დანიშნულია.  
 შესაბამისად, ყოველ დანიშნულს,  
 დამნიშნავი ყავს მფარველ-პატრონი,  
 ის აძლევს ხელფასს, პრივილეგიებს  
 და მისი უნდა იყოს გამგონი,  
 ვის ახსოვს ხალხი, მთავარი არი,  
 ზემდგომი იყოს დამფასებელი  
 მას, ვინც დანიშნავს, იგივე მოხსნის  
 და მისი უნდა იყოს მხლებელი,  
 ხელისუფლების მესამე შტოა სასამართლო და სისტემა მისი,  
 აღმასრულებელს არი მიბმული, მეთოდებიც აქვს შესაბამისი,  
 ყველა ცალ-ცალკე და ყველა ერთად  
 ქვეყნის მეთაურს ემორჩილება,  
 ის ირჩევს ყველას, ის ნიშნავს ყველას,  
 მას შეუძლია ყველას ცვლილება.  
 ქვეყნად მთავარი ის კი არ არი, როგორი არი მართვის მოდელი,  
 მთავარი არი, ვინ მართავს, ყველას,  
 ქვეყნის გაძღოლის სიბრძნეა ძველი.



ბიძინა – შენ პირს შაქარი. მეც ასე ვფიქრობ,  
 ჩემი სამშობლოს აღმშენებლობა  
 ისეა, როგორც მე მოვინდომებ,  
 როგორიც მინდა, იყოს სახლობა.  
 შეხედე სოფელს, შეხედე ქალაქს,  
 თუ რამ კეთდება, ჩემით კეთდება.  
 მე რომ არ გყავდეთ ჩემი შეძლებით,  
 მშიერთა საქმე გამოკეთდება?  
 კი არ გაყვედრით, რა სათქმელია,  
 მაგრამ სიკეთეს დანახვა უნდა,  
 სინამდვილეში ნახე, რა ხდება,  
 ჩემს წინააღმდეგ შეკრულან გუნდად,  
 მიკიჟინებენ: უზურპატორი,  
 ქვეყნის მძარცველი და ხალხის მტერი,  
 გადადებული მაქვს მათთვის თავი –  
 ჩემთვის ერთია ერი და ბერი.  
 შენ გაიხსენე, ხელფასს ვიღებდი, პრემიერობა როცა მებარა?  
 თუმცა შემეძლო, კანონის ძალით, ბევრი მეხარჯა,  
 გულით მეხარა.  
 დახარჯვის ნაცვლად, არ დაივიწყო,  
 საქველმოქმედო ფონდი შევქმენი.  
 გაჭირვებულებს სანთლით დავეძებ  
 და ვეხმარები მე ჩემი დღენი.  
 არა იმიტომ, მაღლობა მითხრან, ნუ იქნებიან უმადურები,  
 ქუჩიდან რატომ უნდა მესმოდეს დაუნახავთა საყვედურები?  
 ამათ ჰგონიათ, ვპოლიტიკოსობ, ძალაუფლებას ვეპოტინები,  
 არი ნათქვამი: კარგ მთქმელს სჭირდება,  
 ავის და კარგის კარგად გამგები.  
 არ მქონებოდა მილიარდები, შენ ქვეყნის ძარცვა მაშინ გენახა,  
 რასა ნახავდი ისეთ ფასეულს, რომ მოგეპარა და შეგენახა.



თქვენი ბედი, რომ დიდი სიმდიდრე  
 თქვენგან არა მაქვს მე შენაძენი,  
 საქართველოდან წაველ ღარიბი,  
 რუსეთს მივანდე მე ჩემი დღენი.  
 თუ იქ ვიშოვე, აქ რასა სწუხართ, რუსები თუ არ მედავებიან,  
 კმაყოფილები არიან ჩემით, ეგება, კიდეც მეცოდებიან.  
 მთავარი არი, ჩემი ქონება აქ კი არა, იქ მიგროვებია,  
 დიდი ნაწილი აქ დამიხარჯავს, ტყუილად დრო არ მიტარებია.  
 ახლა მომადგნენ საყდრისის გამო,  
 თითქოს შეეჭამე მადნეულობა,  
 ალასანიას დავათმობინე, თქვენ გადმოგეცით,  
 გეთქვათ მადლობა.  
 იგივე ხდება ანაკლიაში, ვინმემ თუ იცის, რა რატომ ხდება?  
 მე ჩავერიე, ხაზარაძისგან საქვეყნო საქმე სანამ წახდება,  
 მამუკამ, ძველმა კომკავშირელმა, როდის,  
 რა გზებით შექმნა სიმდიდრე? –  
 ეს გაარკვიოს ოპოზიციამ,  
 მის გვერდში დგომას დაიწყებს ვიდრე!  
 „თი-ბი-სი ბანკმა“ ძარცვა ქვეყანა,  
 ღარიბებს დედა უტირა მეტად,  
 ამ გზით იშოვა მილიარდები,  
 თქვენით სურს დარჩეს მდიდრებში კენტად.  
 პროკურატურა თუ ედავება, ჩემგან რა უნდა, რას მეშარება?  
 თუ მართალია, იქ დაამტკიცოს, თავს რად არიდებს,  
 რა ეზარება?  
 თქვენ არ იფიქროთ, თუ ჩამოშორდა,  
 საერთო საქმე ამით წახდება  
 არ დაიდარდოთ, მივხედავ მერე და ჩანაფიქრი ჩემგან ახდება.  
 დიდი გეგმები მაქვს დასახული – წყალტუბოა თუ აბასთუმანი



ყველგან ვაშენებ, მხარეს ვამშვენებ,  
 როდის გყოლიათ თქვენ ჩემი მგვანი?  
 კი არ გაყვედრით, დემოკრატი ვარ,  
 უბრალოდ, ყველგან გამორჩეული.  
 მე დრო მჭირდება თქვენი საქმისთვის  
 და მხარში დგომა თქვენი ჩვეული.

**ჟამთა მროველი** – გასაგებია. არჩევნების დროს  
 გჭირდება ხმები, მხარდაჭერები,  
 თადარიგს იჭერ, ამიტომ ხდება რბევა,  
 თვალთვალი და დაჭერები.  
 რამდენს დაიჭერ, დააჯარიმებ,  
 შენ დემოკრატი მეტი გახდები?  
 წახდება შენი ავტორიტეტი, თვითონაც,  
 როგორც კაცი წახდები.  
 ჭკვიანი კი ხარ, ჩუმი ეშმაკი, ბუნებითა გაქვს ნიჭი ხალასი,  
 ფულსა შოულობ, ეს ძალას გმატებს,  
 გსურს, ირგვლივ ყველას დაადო ფასი.  
 ბევრსა ყიდულობ. შენდა საავდროდ, ყველა არ გმონებს,  
 არ იყიდება,  
 ზოგი ერთს გეტყვის, ზოგი მეორეს,  
 ზოგი ზედ გზაზე გაგეხიდება.  
 მთავრდება შენი „დემოკრატობა“,  
 სიბრაზე გავსებს და ილანძლები,  
 გსურს, დაადუმო ოპოზიცია და მოუძებნო ციხისკენ გზები.  
 არჩევნების დრო ჯერ არ დამდგარა, უარესია მოსალოდნელი,  
 უზურპატორთა მეთოდებს ხმარობ,  
 რომ დაბრკოლება დალაზო ძნელი.  
 არადა, იქნებ კიდევ გიჯობდეს,  
 მარცხის სიმწვავე ვიდრე გენწვევა,



უარი გეტქვა ძალადობაზე, გადაგელახა ჯიუტი ჩვევა.  
 შე დალოცვილო, რატომ ივინყებ  
     ბავშვობის დროის გაჭირვებასა?  
 თუ გადალახე, სხვები ხომ დარჩნენ,  
     ლხენით უყურებ სხვის ვაებასა.  
 თავს ნუ იყრუებ და ნუ იბრმავებ,  
     ფართოდ გააღე გულის კარები,  
 იმდენს მოიმკი სხვების სიყვარულს,  
     რამდენსაც ჭირში მიეხმარები.  
 ამ გზით სიარულს რომ აპირებდი, ადრე უტასგან<sup>1</sup> გამიგონია,  
 ეს სასიკეთო განზრახულობა ნებით შეცვალე? არა მგონია.  
 მეჩვენება თუ მინდა ვინამო, შეცვლა გარემო მყოფთა ბრალია.  
 ძველ ჩინოვნიკთა ალყაში მყოფმა, ასეთი მომკე მოსავალია,  
 არადა, შენთვის დავწერე მაშინ  
     „ქართულ ოცნების“<sup>2</sup> არსი და კვალი,  
 არ წაგიკითხავს? ვერ გაიგებდი?  
     როგორი სურდა ხალხს მომავალი?

**ბიძინა** – წლების წინა და წლების მანძილზე,  
     წამიკითხია ათასი რამე,  
 სწავლისას ბევრჯერ ჩამძინებია, გამიტეხია კითხვისას ღამე,  
 ერთი სტატია თუ გამოვტოვე, ამით ვითომ რა დამაკლდებოდა?  
 რომ წამეკითხა დემოკრატიზაცია  
     ჩემი სხვაგვარად შეიცვებოდა?

**ჟამთა მროველი** – ქვეყნად ყველაფერს თავისი გზა აქვს,  
     თურმე, იდეის ბედიც იცვლება.

1. უტა-ბიძინას უფროსი ვაჟი.

2 იგულისხმება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 28.02.2012წ. გამოქვეყნებული სტატია „ქართული ოცნება“. (დანერილი 2011წ. ოქტომბრის ბოლოს).



როდის ითქმება, როგორ სრულდება, მნიშვნელობა აქვს,  
 ასე ითვლება.

დემოკრატიის ზოგადი ცნება  
 ათასწლეულებს შუქურად გასდევს,  
 მისი ახდენის მრავალ მცდელობას ცოტა ვინ იცნობს,  
 ნაკლები დასდევს.

მაგრამ თვით სიტყვა „დემოკრატია“  
 ანდამატივით იზიდავს ყველას,  
 რალაცას გრძნობენ მასში ჩაქსოვილს,  
 რაც აზრთა შორის ბრწყინავს და ელავს.

ამიტომ არი, „დემოკრატიზაცია“ ვინც პოლიტიკას გაეკარება,  
 ქალი და კაცი, მსახური, მეფე, ხალხში გასული და უკარება.  
 უმეტესობას დემოკრატია ჰგონია მხოლოდ ზოგადი ცნება,  
 ისეთი უნდა დემოკრატია, როგორიც არი იმისი ნება.

აბრამ ლინკოლნი ასე ბრძანებდა:  
 დემოკრატია თუ ვინმე სდევდა,  
 იბრძოდა მხოლოდ ხალხის გულისთვის  
 და აწუხებდა მუდამ სხვის სევდა.

ვინც შეიყვარებს ნათქვამის სიბრძნეს,  
 სხვის მსახურებას შეეთვისება,

სხვისი სიკეთით საკუთარს აღწევს, ასეთი არი მისი თვისება.  
 სამაგალითო ათენი, სპარტა და საფრანგეთის რევოლუცია,  
 ვინაც ჩაწვდება ამ დანატოვარს, ვინაც გაიგებს რა მოუცია.  
 აღარ იფიქრებს, მე მეტი ვიცი, სამაგალითო სხვების გავხდები.  
 მეტის მცოდნესაც მეტი მჭირდება,

სხვების მდევნელი რატომ წავხდები,  
 ამდაგვარების წრფელი გაგებით დემოკრატია მიღწეულია.  
 თუ საკანონმდებლო და სამართალი

მთავრობის მიერ მიწეულია,  
 ვინაც პარიზის კომუნა იცის, ლონისძიებებს ვინაც ჩაწვდება,



ვინც ბასტილიის იდეებს იცნობს,  
მისთვის მებრძოლი ვინაც გახდება,  
ნახავს, არაა ძნელად საცნობი დემოკრატიის არსი, ბუნება,  
არა სჭირდება დიდი მსჯელობა, რევოლუცია, გადაბრუნება.

**ბიძინა** – შენ როგორც ამბობ, დემოკრატია,  
ისე იოლად მისაღწევია,  
მხოლოდ იცოდე, რომელი საით მისაწევია, მოსაწევია.  
სიტყვით იოლობს საკეთებელი,

ეგაა მხოლოდ საქმით ძნელდება,  
არ შველის საქმეს ერთის მცდელობა  
და მასთან ერთად აზრიც ძველდება.

სინამდვილეში ისე რთულია მილიონების შემობრუნება,  
შეეჯახები პიტალო კლდეებს, ასეთი არი ხალხის ბუნება.  
კიდევ რომ მქონდეს გზა ასარჩევი, უნდა ვიცოდე, საით ვიარო:  
ვის მოვეფერო, ვის შევეჯახო, ვისი აზრი არ გავიზიარო.  
მე ასე მესმის, ერთია აზრი, სხვა – სისრულეში მისი მოყვანა,  
ერთია ჩემი ეზო და ყანა და მეორეა ჩემი ქვეყანა.

კიდევ რომ მსურდეს და მოვინდომო,  
ოპოზიციას შენ დააჯერებ?  
ასე რომ ეტყვი – ისე უნდებათ, ისე რომ ეტყვი, რით გააჯერებ?  
და მაინც, რაა აზრი ქებული, რითი იქნება გამართლებული,  
ეს მიღწეული რითი შეეცვალოთ,  
რატომ დავუდოთ სიახლეს გული?

**ჟამთა მროველი** – სიტყვით ყოველი საქმე იოლობს,  
ზოგჯერ იოლიც სიტყვით რთულდება.  
სიტყვა ტყვიაა შორს გასროლილი. გაისვრი?  
უკან აღარ ბრუნდება.

„დემოკრატია“ მხოლოდ სიტყვაა, მილიონების ნაფიქრ-ნაცადი,



მთავარი არი შიგ რა აზრს ჩადებ

და აღასრულებ როგორი ვადით,

აქ უკვე ითქვა, დღეს მისი არსი, ასე ჩაესმის ხელისუფლებას:

აერთიანებს საკანონმდებლო,

სააღმსრულებლო ხაზით მათ ნებას,

სინამდვილეში ასე დაყოფა, პირობითია და უიმედო.

ფორმას არსისგან არ ასხვავებენ,

მთავარი არი, როგორ შეხედო.

ხელისუფლება ერთიანია და ამოძრავებს ერთი მიზანი

და თუ არ ხდება ყველას არჩევა, რატომ არ ხდება?-გამოიცანი.

თუ ეზიარა არჩევნების წესს, ყველა მოხელე და ყოველგვარი,

მაშინ იქნება დამკვიდრებული დემოკრატია „გასაოცარი.“

არჩევნებს უნდა უცვლელად ახლდეს,

უკან განვევის მყარი უფლება.

თუ ხალხი ირჩევს და ხალხი აგდებს,

არჩეულს რიდი დაეუფლება.

მეორე მხარე არი ასეთი: ასე შევხედოთ ადამიანებს.

ლონით და ჭკუით განსხვავდებიან,

მაგრამ ეს საქმეს არ აზიანებს,

ერთს შეუძლია ბევრი იშრომოს,

სხვა დასჯერდება უფრო ცოტასა,

ზოგს ფიზიკურად თუ ეხერხება,

სხვები მისდევენ უფრო ცოდნასა.

თუ შევადარებთ მათ დანახარჯებს,

მეტად-ნაკლებად თანაბარია,

ყველა იქ იღწვის და იხარჯება, რაც შეუძლია და აბარია.

შესაბამისად, შემოსავალიც ამ ზომით იყოს განსხვავებული

და არა ისე, ზოგს მინიმუმი, ზოგს მაქსიმუმი დაზავებული.

ერთი მეორეს თუ დააჭარბებს, განა რამდენჯერ? – საკითხავია,



ვთქვათ სამჯერ, ხუთჯერ, არა ხუთასჯერ.

მეტჯერ როგორი სანახავია?

დემოკრატია ამას გულისხმობს, ასეთი ზომით თანაფარდობას,  
ხელისუფლება სხვაგვარად ცდილობს

მდიდარ-ღარიბის ტოლობა-ძმობას.

დემოკრატია ასევე ითხოვს პრივილეგიის გაუქმებასა,

შრომის მიხედვით თუ აღსრულდება,

რაში ითხოვენ ზედმეტ შვებასა?

და უფრო მეტი. მთავრობის წევრებს,

უნდა მიეცეს შუალედური,

რათა იზრუნონ ხვალინდელ დღეზე,

რომ მეტი ერგოთ წყალი და პური.

შენ კი როგორი დანერგე წესი? როცა მონობა გულში ჩაიდე,

რომელიც ნახე განსხვავებული, დიდი ხელფასით ყველა იყიდე,

შენთვის ხელფასზე კი თქვი უარი,

ფიქრობ, აჩვენე დემოკრატობა?

სანაცვლოდ იმათ მიეცი დიდი ხელფას-პრემია-დანამატობა,

პირველ ყოვლისა, კოტე კუბლაშვილს,

შეხვდი და დიდი ფულით იყიდე.

მოსამართლენი, პროკურორები და წაუმატე კიდე და კიდე,

არ დაუფიქრდი, რომ ყიდულობდი,

ნაყიდს ჩაგრავდი და თანაც რყვნიდი.

ბოლო შედეგად ხალხი გათიშე,

მდიდარ-ღატაკებს ჩაუტყდათ ხიდი,

როგორც გამეფდი, შენი მეთოდი

და ცოდნის დონე გახადე ცხადი,

რაც არ იცოდნი, ის ვერ აკეთე და რაც აკეთე არქვი დიადი.

ამ გზით დავდექით უფსკრულის პირას

თუ გინდა, რომ არ გადავიჩეხოთ,

ისმინე ხალხის გულის ნადები, დროა, ყურები გამოიხეხო.



დრო კიდევა გაქვს არჩევებამდე, ასე მიგვიყვან ნეტა სადამდე?  
ბოროტნი დათმე, სამშობლოს არგე,  
თუ გინდა, ხალხის შვილადა გვწამდე.

**სახელმწიფო სისტემის დემოკრატიულობის მოთხოვნები:**

1. უკლებლივ ყველა თანამდებობის პირის არჩევითობა; ამორჩეულის გადარჩევის შესაძლებლობა;
2. თანამდებობის პირისადმი მორჩილება სანამ ენდობიან;
3. სახელმწიფოში ხელფასების მინიმუმს და მაქსიმუმს შორის 1:3 ან 1:5 თანაფარდობის დაწესება;
4. უმაღლესი თანამდებობის პირებისათვის საშუალო ხელფასების დაწესება;
5. ყოველგვარი პრივილეგიის აკრძალვა, რომელიც თანამდებობის პირის ცხოვრებას რიგითი მშრომელის ცხოვრებისაგან განასხვავებს.

**სამახსოვრო:**

ადამიანის დიდი სიმდიდრე,  
ამ ქვეყანაზე ბოგინობს ვიდრე,  
დროა უფლისგან გამოყოფილი,  
სანამ გახდება უკვე ყოფილი.

დეკემბერი. 2019წ.